13 მაისი — საერთაშორისო ოლიმპიური დღე

ოლიმპიური დღე ყოველწლიურად აღინიშნება ქვეყნებში სადაც აღიარებენ ამ მოძრაობას. იგი ადრე არასოდეს აღუნიშნავთ სსრ კავშირში, არადა, ნი-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს ქვეყანა მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად თვლის თავს. ახლა ამ ფაქტს თვით ცენტრის უმაღლესი სპორტული ხელმძღვანელი ორგანოებიც არ უარყოფენ, მაგრამ...

ჩვენ არ ვიცით, ბოლოს და ბოლოს, წელს მაინც, საქავშირო ეგიდით და მასშტაბით აღინიშნება თუ არა საერთაშორისო ოლიმპიური დღე. სამაგიეროდ, დაგეჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში 13 მაისი ამ ღონისძიების პირველად ჩატარების თარიღად შევა ერის სპორტულ მატიანეში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა.

მოსამზადებლად დიდი დრო აღარ რჩება და ალბათ, პირველი ღონისძიება დაზღვეული ვერ იქნება ნაკლოვანებებისგან, მაგრამ ჩატარება, ცხადია, აუცილებელია. ამას მოითხოვს საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ინტერესები, ჩვენ ვაღიარებთ, და მუდამ მტკიცედ დავიცავთ ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს.

გადაწყვიტა რა ოლიმპიური დღის ჩატარება, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური - კომიტეტის აღმასკომს არც ეეჭვება, რომ ამ საქმეში მხარდაჭერისა და თანაგრძნობის ხურვილს გამოთქვამს არა მარტო სპორტული, არამედ საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობა.

საერთაშორისო ოლიმპიურ დღეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ელფერი უნდა მივცეთ. იმედია, მოსახლეობის ფართო ფენები მიაშურებენ სტადიონებს და სპორტულ მოედნებს, საცურაო აუზებსა და ჩოგბურთის კორტებს, გამოვლენ ტურისტულ ბილიკებზე, ეწვევიან კულტურისა და დასვენების პარკებს. ყველგან იბატონებს მისი უდიდებულესობა — ჯანმრთელობა. მოძრაობით მონიჭებული სიხარული ხომ არა მარტო სხეულის, სულის მხნეობაცაა. ერს, როგორც არასდროს, დღეს ისე ესაჭიროება სულიერი და ფიზიკური მხნეობა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი კატეგორიულ უარს აცხადებს ამ ღონისძიებაში ფიზკულტურელთა იძულებით მონაწილეობაზე, ასევე კატეგორიულად უნდა გამორიცხოს ყოველგვარი მოჩვენებითობა, სიყალბე. ასეთი რამ ჩვენს კულტურულ საზოგადოებას ვერვინ უნდა აკადროს, ეს საჭიროც არ არის. ოლიმპიური დღე მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრთელობისთვის ოლიმპიური იდეალების პროპაგანდისათვის უნდა გამოვიყენოთ.

რა ღონისძიებებს უნდა მიექცეს ამ დღეს ყურადღება, რა უნდა დაიგეგმოს? სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ წინა პლანზე წამოიწევა სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშობები, სპორტის ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობები. ამასთან, მკაცრად უნდა იქნეს გათვალისწინებული ცალკეული რეგიონების ტრადიციები, ადგილობრივი შესაძლებლობანი. არ შეიძლება ზეიმი ყველგან ერთნაირი, შაბლონური პროგრამით ჩატარდეს. სწორედ ამის გათვალისწინებაა ჭეშმარიტი მასობრიობის რეალური გარანტი. კოორდინაციას ადგილებზე გასწევენ სეოკ-ის მხარდამჭერი ჯგუფები, ფიზკულტურული და სპორტული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. ძალზე მნიშვნელოვანია გავაცოცხლოთ და გამოვამზეუროთ მივიწყებული სპორტის ეროვნული სახეობები, ხალხური თამაშები, თუნდაც ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემის ელემენტები, რომლებიც ქართველ ხალხში ოდითგანვე იყო დამკვიდრებული.

მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ ფიზკულტურულ-სპორტული ზეიმი. პროგრამაში, იმედია, თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს კულტურული, ღონისძიებებიც — შეხვედრები საქართველოს ოლიმპიელებთან, ვეტერან სპორტსმენებთან, სპორტული კინოფილმების ჩვენება. ცხადია, ამ დღეს განსაკუთრებით გამორჩეულთა წასახალისებლად და სამახსოვროდ არც პრიზებს დაიგიწყებენ. დიახ, ეს დღე ყველასათვის უნდა იყოს ღირსსახსოვარი, იმათთვისაც კი, ვინც საგანგებო ჯილდოს ვერ მოიპოვებს სარბიელზე. მათთვის შესაძლოა ვინმემ სამკერდე ნიშნების და სხვა სუვენირების დამზადებაც ითავოს, ოღონდ, გაფრთხილდით — შორს კომერციისაგან!

სეოკ-ის აღმასკომი ურჩევს სასწავლებლებს, შრომით კოლექტივებს, ცალკეულ ორგანიზაციებს ოლიმპიური დღისათვის მზადების პერიოდში შეიქმნას სეოკ-ის მხარდამჭერი ჯგუფები იქ, სადაც ისინი ჯერ არ შეუქმნიათ.

ოლიმპიური დღის ფართოდ აღნიშვნა ოლიმპიური იდეალებისადმი ჩვენი ერთგულებისა და ამ უდიდესი მასშტაბის მსოფლიო მოძრაობაში საქართველოს დამოუკიდებლად ჩაბმის დღესასწაულად უნდა იქცეს.

ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ეს შეგვიძლია, უნდა შევძლოთ!

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი სთხოვს ყველას, მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები საქართველოში საერთაშორისო ოლიმპიური დღის პირველად ჩატარებასთან დაკავშირებით. აღმასკომი მადლიერებით გაიზიარებს ყველა მოსაზრებას, რომელიც საინტერესოდ, მაღალ დონეზე, შთამბეჭდავად, ჩვენი ერის ღირსების საკადრისად ჩატარებასთან იქნება დაკავშირებული.

გთხოვთ წინადადებები გამოგზავნოთ „ლელოს“ რედაქციაში. კონვერტზე წააწერეთ: „ოლიმპიური დღე“.

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 აპრილი, შაბათი, 1990 წ.
№ 65 (10 234) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ჩემპიონატი რაგბიში

8 აპრილი. ვანი. „გელათი“ (ქუთაისი) — „ელმავალი“ (თბილისი) 4:26 (0:10).

თამაშის დროს წვიმდა. თავიდან „გელათმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ძლიერ მეტოქეს და შესვენებამდე მხოლოდ ორი ლელო გაუშვა (რაფავა, ვაშაძე). მეორე ნახევარში სტუმრებმა იძალეს. ჩავლეიშვილის მიერ გატანილი ლელოს შედეგად ანგარიში 0:14 გახდა. ორიოდ წუთში ლიკლიკაძემ ლელოთი 10 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ თამაშის ბოლო რვა წუთში ჩიქვინიძემ და გ. გიუნაშვილმა კიდევ უფრო დააწინაურეს სტუმრები. ხუთი ლელოდან „ელმავალმა“ გარდასახა სამი (სამივე — ჩავლეიშვილმა).

„ლელოს“ კორ.

* * *

სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. „აია“ (ქუთაისი) — „ფილი“ (მოსკოვი) 18:16, „აია“ — — სსა (მონინო) 12:8, „ელმავალი“ (თბილისი) — „ფილი“ 16:15.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს კონკურსს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ეროვნულ ჩემპიონატს და ეროვნულ ნაკრებს ესაჭიროება საკუთარი სიმბოლიკა. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს კონკურსს. გამარჯვებულთათვის დაწესებულია:

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემისათვის — 1000 მანეთი;

2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჰიმნისათვის — 1000 მანეთი;

3. საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორმისათვის ორი სხვადასხვა ნიმუში 1000-1000 მანეთი;

4. საქართველოს ჩემპიონის გარდამავალი თასის ესკიზისათვის — 1000 მანეთი;

5. საქართველოს ეროვნული თასის ესკიზისათვის — 1000 მანეთი.

კონკურსის მონაწილეებმა ნამუშევრები 1 მაისამდე უნდა წარმოადგინონ 25X25 სმ ზომის ფორმატზე ერთ ეგზემპლარად. კონკურსი ანონიმურია, ამიტომ მონაწილეებს ვთხოვთ შიფრი მიუთითონ ფორმატზე და კონვერტზე, რომელშიც იქნება ბარათი ავტორის ანკეტური მონაცემებით. კონკურსის გამარჯვებულთა გამოსავლენად შექმნილია კომპეტენტური ჟიური, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი.

„იბერია“ — ოფკ „ჰოლმსუნდი“

გუშინ თბილისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში თბილისის „იბერიასა“ და საქართველოში ტურისტული მოგზაურობით სტუმრად მყოფ შვეციის ოფკ „ჰოლმსუნდს“ შორის.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 7:1.

ათი ათასი მანეთი — სეოკ-ს ხუთი ათასი მანეთი „ცხუმს“

ეს ცნობა გუშინწინ მოგვაწოდეს სპორტსაზოგადოება „შევარდენთან“ არსებული სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდიდან. ამ ფონდმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანგარიშზე ათი ათასი მანეთი, სოხუმის ფეხბურთელთა გუნდის „ცხუმის“ ანგარიშზე კი ხუთი ათასი მანეთი გადარიცხა.

„შვიდკაცაც“, „ამერ-იმერიც“

დღეს, რაგბის „გამოგონების“ დღეს, 7 აპრილს, ყოფილ „ლოკომოტივის“ სტადიონზე, დიდი სარაგბო ზეიმი გაიმართება. ორის ნახევრიდან ექვს საათამდე მოეწყობა პირველი „სტუდენტური შვიდკაცა“ — საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების გუნდების შეჯიბრება შვიდკაციან რაგბიში. ტურნირში, რომელიც ახალდაარსებულ სკა-ს (უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის) ეგიდით ეწყობა, ორ-ორი გუნდით მონაწილეობენ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის მორაგბეები.

რაგბის კავშირის საშეჯიბრეო კომიტეტს განუზრახავს, „სტუდენტური შვიდკაცა“ სეზონში რამდენჯერმე, ძირითადად წლის თბილ დროს, გამართოს. მეორე ტურნირი 24 ივნისს მოეწყობა. მასში პირველ შეჯიბრებაში ბოლო, მერვე ადგილზე გასულ გუნდს შეცვლის ის, ვინც სათანადო განაცხადს წარმოადგენს. ეს წესი მომდევნო ტურნირებშიც იმოქმედებს.

აღდგომის წინადღით, 14 აპრილს, პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, თბილისში მოეწყობა „ამერ-იმერის შერკინება“ 16-17 წლის ჭაბუკთა შორის. დასავლეთ საქართველოს ოთხი ქალაქის — ქუთაისის, წყალტუბოს, ლანჩხუთისა და ლენტეხის გუნდების მოთამაშეთაგან შედგენილი ნაკრები ეთამაშება თბილისის ორი გუნდის — „ივერიისა“ და „სოლანის“ ნაკრებს. ამ შეხვედრის გამართვის თაოსანია საქართველოს რაგბის ასოციაცია. თამაში უდროოდ დაღუპული ქართველი მორაგბეების ხსოვნას მიეძღვნება.

ინვალიდთა სპორტი ყურადღების ცენტრში

ქართველი კაცი მუდამ იყო გულმოწყალე და მოყვასის თანამგდგომი. ახლა ამ გრძნობის გამომჟღავნებაში თითქოს ვეჯიბრებით კიდეც ერთმანეთს, ეს არ შეიძლება არ გვაამაყებდეს. ინვალიდები, როგორც ყველგან, სამწუხაროდ, საქართველოშიც არიან და მათზე ზრუნვა ერთ-ერთ უპირველეს საქმედ მიაჩნიათ ცალკეულ ორგანიზაციებს თუ პიროვნებებს.

რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში ინვალიდი სპორტსმენები, კერძოდ უსინათლოთა და ყრუთა საზოგადოების წარმომადგენლები არაერთგზის დარჩენილან ყურადღების გარეშე. ისინი გამოდიან როგორც ქვეყნის, ისე ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში ინვალიდთა შორის. სწორედ ქვეყნის, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონები მოიწვიეს გუშინწინ საქართველოს სპორტსაბჭოში მათთვის სანგებოდ გამართულ თათბირზე.

ინვალიდ გამოჩენილი სპორტსმენთა შეკრებაზე მოვიდნენ აგრეთვე ყრუთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ბორის შუბლაძე და რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა სიხარულიძე.

სპორტსაბჭომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე გულთბილად მიესალმა მოწვეულთ, აღუთქვა, რომ სპორტსაბჭომი კვლავაც აქტიურად დაუჭერს მხარს ინვალიდთა სპორტს. შემდეგ ნ. ენდელაძემ სპორტსმენებს ვადასცა ფასიანი საჩუქრები და ფიგურები.

სურათზე: სპორტსმენთა დაჯილდოებისას.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„გორდა“ (რუსთავი) — „იბერია“ (თბილისი) 1:1 (1:1)

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 4 აპრილი.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, თ. მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია (წიკლაური), მიქაშავიძე (კილასონია).

„იბერია“: ხაპოვი, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი (რევიშვილი), მაჭავარიანი, ქეცბაია, კაჭარავა, ჯიშკარიანი, გურული, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ვ. შელია (გაგრა).

ლამაზი სანახავი იყო 4 აპრილს რუსთავის სტადიონი: მატჩს წარემძღვარა კულტურული პროგრამა, ეროვნული ჩემპიონატი დალოცა მამა დავითმა. რუსთავში ამ დღეს ყველაფერი გაკეთდა, რაც ნამდვილ ზეიმს შეშვენის, არც მოთამაშეებს გაუწბილებიათ გულშემატკივრები, რომელთა რაოდენობაც, ალბათ, სარეკორდო იყო სტადიონის აშენებიდან დღემდე.

პირველი ტურის შეხვედრებში „იბერია“ და „გორდა“ ერთნაირი ანგარიშით — 0:1 დამარცხდნენ. ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც — ორივე კლუბს შეხვედრა ავტოგოლით ჰქონდა წაგებული.

თამაში დაუზვერავად დაიწყო, ფეხბურთელები კარგად იცნობენ ერთმანეთს. სტუმართა კარი პირველად ფანცულაიამ მოსინჯა, რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ცხადაძის თავური დარტყმის შემდეგ გადაურჩა რუსთაველთა კარი გოლს.

პირველი ნახევარი დაძაბულად, საინტერესოდ წარიმართა, სახიფათო მომენტები თანაბრად იქმნებოდა ორივე კართან.

თამაში გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც ფანცულაიამ 25 მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. სულ სამი წუთი დასჭირდათ „იბერიის“ ფეხბურთელებს წონასწორობის აღსადგენად, ძაღალ ჩამოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი გურულმა და ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ზაზა კახაძე.



„შევარდენი“ (თბილისი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:3 (0:2)

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 4 აპრილი.

„შევარდენი“: დოლიძე, შალამბერიძე, სამხარაძე, ჩხეიძე, ტარტარაშვილი, ჯოხაძე, ყორდანია, ობოლაძე (ზეიკიძე), ყვანია, ყიფიანი (ყულიაშვილი), მინაშვილი.

„ქუთაისი“: ჩხეიძე, პაპავა, თორლაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე, ფაიქიძე (სუხიაშვილი), შენგელია (დვალიშვილი), შავდათუაშვილი (ჯანაშია), მანაგაძე.

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მაყურებელი ამ დღესაც საკმაოდ ბევრი მოვიდა სტადიონზე, თუმცა, „შევარდენი“, არც ადრე უჩიოდა მათ ნაკლებობას, ყოველთვის ჰყავდა თავისი გულშემატკივარი.

„შევარდენი“ წლეულს განახლებული შემადგენლობით თამაშობს, გუნდში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი მოვიდა, მაგრამ ჯერჯერობით აკლიათ შეთამაშება, დარღვეულია კავშირი რგოლებს შორის. და მაინც „შევარდენის“ თამაშში იგრძნობა ის დაფარული პოტენცია, რომელიც ახლო მომავალში გუნდის წინსვლის იმედს იძლევა.

ამ მატჩში კი ქუთაისელთა უპირატესობა პირველიდან ბოლო წუთამდე აშკარა იყო. სტუმრების რიგებში აშკარად გამოირჩეოდა პაიკიძე, ვეტერანი ფეხბურთელი, რომელსაც კარგად იცნობს ქართველი გულშემატკივარი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ქუთაისელთა გუნდი ზუსტად მოქმედებდა და, ალბათ, ისიც ლოგიკური იყო, რომ პირველი ბურთი მე-19 წუთზე მეტოქის კარში სწორედ პაიკიძემ გაიტანა ძლიერი საჯარიმო დარტყმით. რამდენიმე წუთის შემდეგ მას კვლავ ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ამჯერად ბურთი აცდა მეტოქის კარს.

ქუთაისელთა მასირებულ შეტევებს თბილისელი ფეხბურთელები იშვიათი კონტრიერიშებით პასუხობდნენ, მაგრამ სერიოზული საფრთხის შექმნა მეტოქის კართან ვერ შეძლეს.

33-ე წუთზე „შევარდენის“ მცველების შეცდომით კარგად ისარგებლეს ქუთაისელებმა და მ. ფაიქიძემ ორამდე გაზარდა ანგარიში.

თამაშის სურათი, არსებითად, არც მეორე ტაიმში შეცვლილა, თუმცა, „შევარდენის“ იშვიათი კონტრშეტევები უფრო მწვავე გახდა. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა მიეცა ყორდანიას, მაგრამ იმარჯვა მეკარე ჩხეიძემ. ძალზე ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან მინაშვილმა. თუმცა, მან თამაშის მიწურულს ყულიაშვილის გადაცემის შემდეგ ოსტატურად აუარა გვერდი მცველს და საპასუხო გოლი გაიტანა. ამ მომენტისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო, მესამე ბურთი 59-ე წუთზე, შორეული დარტყმით დაბალ კუთხეში მოათავსა თორლაშვილმა.

თამაშის ბოლო წუთები „შევარდენის“ შეტევებით აღინიშნა, მაგრამ ქუთაისელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და ახლა, ორი ტურის შემდეგ 6 ქულით ჩემპიონატის ლიდერთა შორის იმყოფებიან.

გიორგი ქორქია.

„შევარდენი“ (თბილისი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი)

ა. კოტორაშვილის ფოტო.

„კოლხეთი“ (ხობი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 1:0 (0:0)

ხობი. „კოლხეთის“ სტადიონი. 4 აპრილი.

„კოლხეთი“: ბაბუაძე, ჯეჯელავა, კაცოტაძე, ხურცილავა, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე (ე. თევზაძე), სიჭინავა, კალუჟა (გვასალია), კვირტია, ქვილითაია.

„ცხუმი“: ბენიძე, ჩიხრაძე (გეგენავა), ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი (თ. სიჭინავა), ჯელაძე, გელენავა, გოგრიჭიანი, მორგოშია (გადელია), პაპასკირი.

მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).

პირველი ნახევარი დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ტაიმის შედეგიც (0:0) ამის შესატყვისი იყო.

მეორე ნახევარში კი გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა, მე-20 წუთზე კაცოტაძემ შესანიშნავად გადააწოდა ბურთი კალუჟას, რომელმაც გახსნა ანგარიში — 1:0.

„ცხუმის“ ფეხბურთელებმა მარცხისაგან თავის დასაღწევად კონტრშეტევებს მიმართეს, განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა მათი იერიში მატჩის ბოლო წუთებზე, როცა პაპასკირი პირისპირ გავიდა „კოლხეთის“ მეკარესთან, მაგრამ ბაბუაძემ ამ მომენტში შესანიშნავად ითამაშა.

„კოლხეთმა“ შეიხარჩუნა ანგარიში და ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს სტუმართაგან: გოჩა გოგრიჭიანი, მასპინძელთაგან — ზურაბ ლატარია.

ლია ბასილაია,
ხობის რაიონული გაზეთის განყოფილების გამგე.

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ოზურგეთი“ (ოზურგეთი) 0:0

ზუგდიდი. „ოდიშის“ სტადიონი. 4 აპრილი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, მაჭაცარია, თუთბერიძე, ჭავაშვილი, სართანია, მალანია (ჯაკონია), შეროზია, აფაქიძე, ბიგვავა, ჯიქია (ბ. თუთბერიძე).

„ოზურგეთი“: ზოიძე, ცერცვაძე, კაშია, ხამაშურიძე, კალატოზიშვილი, ბარამიძე, ამაშუკელი, მეკავანაძე, ნასუაშვილი (ჩხაიძე), ჩიგოგიძე, როყვა.

გააფრთხილეს: მაჭაცარია, მეკავანაძე.

მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).

ამდენი მაყურებელი იშვიათად ჰყოლია ზუგდიდის სტადიონს. რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა ტრიბუნებზე.

ზეიმიც შესაფერისი გაიმართა. მატჩს წინ უძღოდა სიმღერები, ცეკვა, სპორტული ღონისძიებები. თეთრ ცხენზე ამხედრებულმა მზედარმა სტადიონზე შემოიტანა სამფეროვანი დროშა, რომელიც ორივე გუნდის კაპიტნებმა ეროვნული ჰიმნის თანხლებით აღმართეს.

...მატჩის პირველივე წუთებზე მასპინძლებმა სახიფათო მომენტი შექმნეს ზოიძის კართან, შემდეგ თამაშმა მინდორის შუაგულში გადაინაცვლა და ორივე გუნდის წევრები ეპიზოდურად უშედეგოდ მეტოქეთა კარს. ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

მეორე ნახევარი უფრო საინტერესოდ წარიმართა. მასპინძლებმა მთელი ძალით შეუტიეს მეტოქის კარს, ერთგვარი გარდატეხა შეიტანა ვეტერანი ფეხბურთელის ბ. თუთბერიძის გამოსვლამ მინდორზე, რამდენიმეჯერ ჰქონდათ კარის აღების შესაძლებლობა შეროზიას, აფაქიძეს, ბიგვავას, თუთბერიძეს, რამდენიმეჯერ მეკარე ჭანტურიასაც მოუხდა ოსტატობის გამოჩენა.

მსაჯის საფინალო სასტვენი ისე გაისმა, რომ გოლი არც ერთ კარში არ გასულა.

ნუგზარ ჟვანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სანავარდო“ (სამტრედია) 0:1 (0:0)

ოჩამჩირე. ცენტრალური სტადიონი. 4 აპრილი.

„ამირანი“: მესხია, ჩხვირკია, ძალამიძე, თ. შამუგია, ახვლედიანი, შამათავა, გოგოხია, დ. კაკუბავა, ქობალია, აფინდოპულო, ვართანოვი (მ. კაკუბავა).

„სანავარდო“: თოდაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, ჭელიძე, თვალაბეიშვილი, ამბიძე (გოგაძე), ბაბუნიძე, შეპტიცკი, ჯიშკარიანი (რუხაძე), დადუნაშვილი, დვალიშვილი (თამაზაშვილი).

მსაჯი: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

ეროვნული ჩემპიონატის პირველმა მატჩმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ოჩამჩირეში, ამას ამინდმაც შეუწყო ხელი და სტადიონის ტრიბუნებზე ადგილი აღარ იყო. თუმცა, განწყობილება საზეიმო იყო, ოჩამჩირელებს არ შეეძლოთ წუთიერი დუმილით პატივი არ მიეგოთ იმ გარდაცვლილ თანამემამულეთათვის, რომელთაც თავისი კვალი დამჩნიეს ქართული ფეხბურთის ისტორიას.



„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სანავარდო“ (სამტრედიელთა მეკარემ თერთმეტმეტრიანი

პირველი ნახევარი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. რამდენიმე სახიფათო მომენტს შედეგი არ მოუცია — 0:0.

მეორე ნახევარში თანდათან გამოიკვეთა ოჩამჩირელთა უპირატესობა, მაგრამ 68-ე წუთზე საჯარიმო დარტყმის შემდეგ მეკარე მესხიას ბურთი ხელიდან გაუვარდა და სამტრედიელმა ჯიშკარიანმა შესძლო ანგარიშის გახსნა.

მალე ოჩამჩირელებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცათ 11- მეტრიანი დარტყმით, მაგრამ თ. შამუგიას დარტყმულ ბურთს მეკარე თოდაძე ადგილზე დახვდა.

ოჩამჩირელების ცდა ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, უშედეგო აღმოჩნდა. თამაში „სანავარდომ“ მოიგო — 1:0.

მედეა ნეფხვერიძე.
„ლელოს“ კორ.

ოჩამჩირე.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 6:0 (2:0)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 4 აპრილი.

„გურია“: ჭანთარია, მიქაბერიძე, ჩხაიძე (გუჯაბიძე), დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ბარათაშვილი (ლორია), ტყებუჩავა, კორლალიძე,



ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი რუსთავში. ზევით — ალმის ალმართვის მომენტი; ეპიზოდი განვლილი მატჩიდან „გორდა“ (რუსთავი) — „იბერია“ (თბილისი). სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტოები.

გათამაშების ცხრილი • უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 7 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ (ლანჩხუთი)	2	2	0	0	7-0	6
„კოლხეთი“ (ფოთი)	2	2	0	0	5-0	6
„სანავარდო“ (სამტრედია)	2	2	0	0	4-0	6
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	2	2	0	0	5-2	6
„კოლხეთი“ (ხობი)	2	2	0	0	4-1	6
„ბათუმი“ (ბათუმი)	2	1	1	0	1-0	4
„ოზურგეთი“ (ოზურგეთი)	2	1	1	0	1-0	4
„ივერია“ (ხაშური)	2	1	0	1	1-1	3
„მზიური“ (გალი)	2	1	0	1	1-4	2
„დილა“ (გორი)	2	0	1	1	0-1	1
„ცხუმი“ (სოხუმი)	2	0	1	1	1-2	1
„იბერია“ (თბილისი)	2	0	1	1	1-2	1
„ოდიში“ (ზუგდიდი)	2	0	1	1	1-2	1
„გორდა“ (რუსთავი)	2	0	1	1	1-2	1
„შევარდენი“ (თბილისი)	2	0	1	1	2-4	1
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	2	0	0	2	0-2	0
„სამგურალი“ (წყალტუბო)	2	0	0	2	1-4	0
„ლიახვი“ (ცხინვალი)	2	0	0	2	0-9	0

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ბანვლილ სამშაბათსა და ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური ეტაპის პირველი შეხვედრები და, უნდა ითქვას, ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია ისეთ წარმატებას, რომელიც ფინალში გასვლის გარანტიას უზრუნველყოფდეს: 6 მატჩში აღინიშნა ორი ფრე, 4 შეხვედრა მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთის უპირატესობით მოიგეს.

ჩემპიონთა თასზე საფრანგეთის „მარსელის" ქომაგების შეშფოთება გამოიწვია პორტუგალიის „ბენფიკასთან" მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოგებულმა შეხვედრამ — 2:1. „მარსელის" შემადგენლობაში გამოდიოდნენ ძლიერი ფეხბურთელები ამორო, ტიგანა, პაპენი, ვერკრუიზი, ფრანჩესკოლი, უოდლი და მხოლოდ კარში იდგა ახალი მეკარე კასტენედა, რომელმაც წინა შეხვედრაში დაშავებული გ. ხუარდა შეცვალა. ანგარიში გახსნა „ბენფიკის" თავდამსხმელმა ლიმამ. ეს მოხდა მე-11 წუთზე, მარსელელებმა მაშინვე გაქვითეს ანგარიში (სოზა), შემდეგ კი პორტუგალიელთა მეკარე კასტენედას პირისპირ აღმოჩნდა პაპენი და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

ჩემპიონთა თასის მეორე შეხვედრის გმირი იყო გფრ-ის „ბაიერნის" (მიუნხენი) მეკარე რაიმონდ აუმანი, რომელმაც იტალიის „მილანთან" მეტოქის მინდორზე ბრწყინვალედ ითამაშა. მან ერთადერთი ბურთი გაუშვა, რომელიც 78-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა მ. ვან ბასტენმა. იტალიელებს აკლდათ გულიტი, აგრეთვე, ნაკრების მოთამაშეები ანცელოტი და დონადონი. მათ, თუმცა. მთელი თამაში შეტევაში გაატარეს და საბოლოოდ მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდნენ.

სულ 15 ათასი მაყურებელი დაესწრო თასების მფლობელთა თასის მატჩს ბელგიის „ანდერლეჰტსა" და ბუქარესტის „დინამოს" შორის. სტუმართა დაცვა საკმაოდ იოლად უმკლავდებოდა მეტოქის იერიშებს, „ანდერლეჰტმა" მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა (ნალისი). აღსანიშნავია, რომ მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ბუქარესტის გუნდის კაპიტანი კლეიმი.

გადაუღებელი. წვიმის ქვეშ მიმდინარეობდა საფრანგეთის „მონაკოს" შეხვედრა იტალიის „სამპდორიასთან". თამაშს სულ 20 ათასი მაყურებელი დაესწრო, რომელთაგან 15 ათასი იტალიიდან ჩამოსული გულშემატკივარი იყო. ფრე — 2:2.

უეფა-ს თასზე იტალიის „იუვენტუსს", თითქოს, დიდი ანგარიშით უნდა გაემარჯვა გფრ-ის „კიოლნთან", ვინაიდან ბაროშის პირველი გოლის შემდეგ სკილაჩიმ და მაროკიმ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, მაგრამ მეორე ტაიმში „კიოლნმა" მნიშვნელოვნად გააძლიერა თამაში, გეცმა და გილხენმა ზედიზედ გაიტანეს ორი საპასუხო ბურთი.

გფრ-ის „ვერდერისა" და იტალიის „ფიორენტინის" შეხვედრაში იტალიელი ფეხბურთელები თამაშის ბოლო წუთამდე წინ იყვნენ ანგარიშით 1:0. სწორედ ამ ბოლო წუთზე მეკარე ლანდუჩიმ შეცდომა დაუშვა და იოლი ბურთი გაუშვა საკუთარ კარში.

საპასუხო შეხვედრები გაიმართება 17 და 18 აპრილს.

ჩემპიონთა თასი

„მილანი" — „ბაიერნი" 1:0
„მარსელი" — „ბენფიკა" 2:1

თასების მფლობელთა თასი

„ანდერლეჰტი" — „დინამო" (ბუქარესტი) 1:0
„მონაკო" — „სამპდორია" 2:2

უეფა-ს თასი

„ვერდერი" — „ფიორენტინა" 1:1
„იუვენტუსი" — „კიოლნი" 3:2

პირველი მატჩი — 17 აპრილს

სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი სსრ კავშირის პირველობის პირველ ლიგაში ასპარეზობს. მკითხველებს შევახსენებთ, რომ 17 მარტს გუნდი დატოვა 8 ფეხბურთელმა, აგრეთვე, მეორე მწვრთნელმა, ადმინისტრატორმა, ექიმ-მასაჟისტმა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, რომლებიც ახლა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში „ცხუმის" შემადგენლობაში არიან.

სოხუმის „დინამოში", ზემოაღნიშნული ფეხბურთელების წასვლის შემდეგ, დარჩა ცხრა მოთამაშე, რომლებიც შარშან სისტემატურად გამოდიოდნენ ძირითად შემადგენლობაში. ესენი არიან: ა. ჩეკუნოვი, ს. თარბა, რ. ხაგბა, რ. ბოსტანჯიანი. გ. ბონდარუკი. ო. თარბა. გ. ჩალიგავა, დ. ახვლედიანი, ს. არუთუნიანი. ვარჯიში დაიწყო აგრეთვე, ჯ. გუბაზმა, რომელმაც შარშან ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა. სოხუმის „დინამოს" წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურის შემდეგ დაუბრუნდა თ. ენიკი. „დინამოში" ვარჯიშობს თ. ლოგუაც, რომელიც შარშან ხობის „კოლხეთში" გამოდიოდა.

სოხუმის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ო. დოლმატოვმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ გუნდში მოწვეული არიან და უკვე ვარჯიშობენ მოსკოველი ფეხბურთელები — მეკარეები ს. ოვჩინიკოვი და ს. სმელოვი, მცველები ბ. დობაშინი და ა. ჩიჟიკოვი. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიოდნენ მოსკოვის „დინამოს" დუბლშემადგენლობასა და მოსკოვის „დინამო"-2-ში.

ო. დოლმატოვმა აღნიშნა, რომ გუნდში მიწვეულია აფხაზეთის საფეხბურთო სკოლის რამდენიმე აღზრდილი.

სოხუმის „დინამო" ჩემპიონატის პირველ მატჩს ჩაატარებს 17 აპრილს ტიუმენში ადგილობრივ „გეოლოგთან", ხოლო მანამდე, 14 აპრილს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში როსტოვში შეხვდება „როსტსელმაშს".

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ დინამოელებს პირველი ორი ტურის შეხვედრა გადაუტანა.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს" კორ.
სოხუმი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

5 აპრილს შედგა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის შეხვედრები.

პირველი მარცხი განიცადეს მოსკოვის სპარტაკელებმა, რომლებმაც ოდესაში წააგეს „ჩერნომორეცთან" — 0:1. დამარცხდა, აგრეთვე, კიევის „დინამოც" და ისიც საკუთარ მინდორზე. კიეველებმა ანგარიშით 0:1 წააგეს მოსკოველ თანაკლუბელებთან.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „არარატი" (ერევანი) — „ტორპედო" (მოსკოვი) — 0:1, „პამირი" (დუშანბე) — „დინამო" (მინსკი) — 3:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:0.

იტალია-90

ჩეხოსლოვაკიელთა მარცხი

ბანვლილ ოთხშაბათს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა ქ. ბრნოში ამხანაგური მატჩი გამართეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კიდევ ერთ მონაწილესთან — ეგვიპტის გუნდთან.

მასპინძლებმა მოულოდნელი მარცხი იწვნიეს, თუმცა, თამაშის მსვლელობაში საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. თამაშის 72-ე წუთზე ერთ-ერთმა ეგვიპტელმა ფეხბურთელმა დაახლოებით 30 მეტრზე შემოაგდო აუტიდან ბურთი, ბოლო მომენტში თავით კარგად ითამაშა მუჰამედ ელ-კაასმა და ეფექტური გოლი გაიტანა — 1:0.



„ბარსელონის" გამარჯვება

ესპანეთის საფეხბურთო თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბარსელონა" და მადრიდის „რეალი". მატჩი შედგა ქ. ვალენსიაში. ორივე გუნდი დაუფარავად უხეშობდა, არბიტრმა რამდენიმე ფეხბურთელს ყვითელი ბარათი აჩვენა და პირველ ტაიმში მინდვრიდან გააძევა მადრიდელი იერო. წესრიგი არც მაყურებელთა შორის იყო, ისინი ბოთლებს და სხვადასხვა საგნებს ისროდნენ მინდორზე.

„ბარსელონის" შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰოლანდიელი მცველი როლანდ კუმანი, რომელიც ხშირად ერთვოდა იერიშებში, მისი ერთ-ერთი რეიდის შემდეგ შორიდან დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარემ, მაგრამ ამორომ ყველაზე ადრე მიუსწრო ბურთს — 1:0. ეს მოხდა 68-ე წუთზე, მატჩის ბოლო წუთზე კი სალინასმა მეორედ აიღო მადრიდელთა კარი — 2.0.

აღსანიშნავია. რომ „ბარსელონამ" ოცდამეორედ მოიპოვა ესპანეთის თასი, „რეალმა" კი პირველი მარცხი განიცადა ბოლო 5 თვის მანძილზე. „ბარსელონის" ფეხბურთელებმა თავისებური საჩუქარი უძღვნეს თავიანთ მწვრთნელს იოჰან კრუიფს, რომელმაც მესედ გამოიყვანა გუნდი მინდორზე.

ლელობურთი — სადღეისო საქმე, სამომავლო მიზნები

ახლახან გაიმართა საქართველოს ლელობურთის ფედერაციის სხდომა, რომელზეც ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სპორტული ლატარიების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი სულიკო რამინიშვილი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ლელობურთის გასავითარებლად და გასავრცელებლად მხოლოდ რესპუბლიკის ჩემპიონატისა და პროფკავშირული სპორტსაზოგადოების პირველობების გამართვა დღესდღეობით აღარ კმარა.

ფედერაციის თხოვნით საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ განიხილა ლელობურთის განვითარების საკითხი და სათანადო დადგენილებაც მიიღო.

დადგენილებით გათვალისწინებულია მოსწავლე ლელობურთელთა შეჯიბრებების შემოღება, ლელობურთის შეტანა უკლებლივ ყველა რესპუბლიკურ კომპლექსურ ღონისძიების პროგრამაში.

აღსანიშნავია ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორის ომარ გოგიაშვილის თაოსნობა, რომ 1990 წლიდან ინსტიტუტში გაიხსნას ლელო-რაგბის სპეციალიზაცია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გაზეთ „ლელოს" განზრახვა, ყოველწლიურად გამართოს თავისი თასის გათამაშება საქართველოს ყველა კუთხის ლელობურთელთა ნაკრებების მონაწილეობით.

კოლეგიამ ფედერაციას დაავალა, შეიმუშაოს ახალი წესდება და სპორტკომიტეტს განსახილველად წარუდგინოს საქართველოს ჩემპიონატის გამართვის ახალი სისტემა.

ამასთან დაკავშირებით ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებს უმორჩილესად ვთხოვთ, რომ თუკი რესპუბლიკის ჩემპიონატსა და სპარტაკიადაში გუნდების გამოყვანას აპირებენ, მათი განაცხადი კომიტეტში 15 აპრილამდე წარმოადგინონ.

დავით კილასონია,
სპორტსახკომის ლელობურთის სახელმწიფო მწვრთნელი.

უშეცდომოდ — რთულ მარშრუტზე

ცხენის გაწვრთნაში მრავალსაფეხურიანი ასპარეზობის შედეგად, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარდა. გაირკვა ევროპის თასის მფლობელი. ეს გახლავთ დასავლეთგერმანელი მხედარი სვენ როტენბერგერი. იგი ანდიომოთი გამოდიოდა ამ პრესტიჟული ტურნირის ფინალში, რომელიც შვეციის ქალაქ გეტებორგში ჩატარდა.

იქვე გაიმართა მსოფლიო პირველობის გათამაშების ევროპის ზონის ეტაპი წინაღობათა გადალახვაში. აქ თავი ისახელა ჰოლანდიელმა პიეტ რავმაკერსმა ოლიმპიკ ზამირათი. მან, ერთადერთმა შეძლო მეორე დამატებით ცდაზე გადამწყვეტი მარშრუტის უშეცდომოდ გავლა. 4 ქულით მეორე ადგილზეა ლიუდგერ ბირბაუმი (გფრ), მესამეზეა ბელგიელი ლიუდო ფილიპერტსი — 8.

საერთო ჩათვლაში კი ლიდერობას ინგლისელი ჯონ უაიტეიკერი ინარჩუნებს, რომელმაც გეტებორგში 4 ქულით მე-5-11 ადგილები გაიყო.

ტელეტაიპი - მკითხველი

მოსკოვი. ამას წინათ აქ შექმნილმა პროფესიულ მოკრივეთა ლიგამ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა — იგი თავის შემადგენლობაში მიიღო მსოფლიოს მოკრივეთა ასოციაციამ. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჰილბერტო მენდოსამ ამასთან დაკავშირებით მილოცვის დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის პროფესიულ მოკრივეთა ლიგის პრეზიდენტს, წარსულში ცნობილ მოკრივესა და მწვრთნელს ალექსეი კისელიოვს.

ტუნისი. ტრადიციულ რალი-რეიდში, რომელიც ტუნისის გზებზე მიმდინარეობს, მონაწილეობს 100 ავტომანქანა და 120 მოტოციკლი. ავტომობილისტთა შეჯიბრების პირველი ეტაპი მოიგო საბჭოთა ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში არიან ეუგენიუს ტუმალიავიჩუსი და სერგეი დადვანი.

მოსკოვი. ქვეყნის ჩემპიონი გახდა ცსკა-ს ფრენბურთელთა გუნდი, რომელმაც ზედიზედ სამ სუპერფინალურ მატჩში დაამარცხა ლენინგრადის „ავტომობილისტი". ბოლო შეხვედრის ანგარიშია — 3:1.

სენ-ნაზერი. საფრანგეთის ამ ქალაქში მიმდინარე მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა კუიბიშეველმა დმიტრი კორზუნმა (71 კგ.). მან ნოკაუტით დაამარცხა პოლონელი პაველ მატუშევსკი. კორზუნი ჯერჯერობით ერთადერთი საბჭოთა მოკრივეა, რომელიც განაგრძობს ბრძოლას უმაღლესი ტიტულისათვის.

ბერნი. დამთავრდა საერთაშორისო ველორბოლა ბელგიის ორ ქალაქს გენტსა და ვეფელეგემს შორის. 204 კილომეტრიანი დისტანცია ბელგიელმა ჰერმან ფრისონმა 4:59,0-ში დაფარა (საშუალო სიჩქარე საათში 40,936 კილომეტრი).

რიგა. ლატვიის დედაქალაქში დაიწყო თანამედროვე ხუთჭიდელ ქალთა მსოფლიო თასის გათამაშების მეორე ეტაპი. პირველ სახეობაში — ფარიკაობაში გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა კაროლინა გორდეევამ — 1140 ქულა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო პოლონეთის ნაკრები.



დახასრულს უახლოვდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატი. სათამაშო დარჩა ხულ რამდენიმე მატჩი. წინა ტურის შეხვედრები კი ასე დამთავრდა:

მინსკი. მოსკოვის არმიელებმა განმეორებითი შეხვედრაც მოუგეს რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდს — 95:92 (45:41).

რიგა. ადგილობრივმა ვეფ-მა ალმა-ათის ასკ-თან წინა დღეს დამარცხების შემდეგ რევანში აიღო და გაიმარჯვა 90:83 (55:44).

მოსკოვი. უაღრესად მძაფრი და საინტერესო გამოდგა ადგილობრივი „დინამოს“ პირველი შეხვედრა ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონთან კიევის „ბუდიველნიკთან“. ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს 2 ქულით (45:43), მაგრამ ბრძოლისთვის განკუთვნილი დრო ფრედ დამთავრდა — 90:90. უძლიერესი ვერ გამოავლინა ვერც პირველმა დამატებითმა ხუთწუთიანმა ტაიმმა — 104:104 და მხოლოდ მეორე დამატებით პერიოდში გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა. ჩემპიონმა მოიგო შეხვედრა ანგარიშით 115:109. მეორე დღეს „დინამომ“ რევანში აიღო — 109:92 (58:41).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 აპრილისთვის

„დინამო“ (მ.)	44	32	12	76
ცსკა	39	34	5	73
„კალევი“ (ტალ.)	44	28	16	72
„ბუდიველ.“ (კ.)	42	28	14	70
ახკ (ალმა-ათა)	43	27	16	70
„სპარტ.“ (ლენ.)	44	23	21	67
ვეფ (რიგა)	42	24	18	66
„შახტ.“ (დონ.)	44	14	30	58
რტი (მინსკი)	44	12	32	56
„დინამო“ (თბ.)	42	13	29	55
„უალგირ.“ (კაუნ.)	44	17	27	54
„ხტატიბა“ (ვილნ.)	44	6	38	46

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ფინიშის სწორზე

„არგოს“ პრიზზე

ვანის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა რაიონის გუნდური პირველობა ადგილობრივი საშუალო სკოლების ნაკრებ გუნდებს შორის „არგოს“ პრიზზე. თითოეული გუნდის შემადგენლობაში შედიოდა 4 ჭაბუკი და 2 გოგონა. სულ მონაწილეობდა 16 გუნდი.

დაძაბული ბრძოლის მემდეგ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: ი. ჭავჭავაძის სახელობის პირველი, გ. ტაბიძის სახელობის მეორე, სოფელ უხუთისა და ტ. ტაბიძის სახელობის სოფელ შუამთის საშუალო სკოლების გუნდებმა.

პირველი ადგილის ბედი გადაწყდა პირველი და შუამთის სკოლების გუნდების შეხვედრაში, რომელიც ფრედ — 3:3 აღინიშნა, მაგრამ დებულების თანახმად, უკეთესი კოეფიციენტის წყალობით, პირველობა მიეკუთვნა შუამთელ მოჭადრაკეებს. აი ისინიც: გიგა ივანიძე, ზვიად ბახტაძე, გურამ გუმბერიძე, ზაზა ნაფეტვარიძე, სოფიკო ბახტაძე და ლუბა გუმბერიძე.

გარდამავალი პრიზი, ჭედური ნაკეთობა „არგო“ გადაეცა შუამთის სკოლას, ხოლო დანარჩენ გამარჯვებულთ — ფასიანი საჩუქრები. გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ გუნდურ პირველობაში, რომელიც აპრილის ბოლოს ჩოხატაურში ჩატარდება.

გურამ მაჭავარიანი,
ვანის საჭადრაკო კლუბისა და სკოლა „არგოს“ დირექტორი, საქსპორტსახკომის დასავლეთ საქართველოს ზონის ინსპექტორი.

სურათზე: გამარჯვებული გუნდი.

მ. ტყეშელაშვილის ფოტო.

დუგლასი ჩემპიონია, ერა მაგრამ... ეარსებოდეს

მართალია, კრივის სამყაროს საერთაშორისო ასოციაციამ ჯეიმს ბასტერ დუგლასი მსოფლიო ჩემპიონად აღიარა, მაგრამ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების ვნებათა ღელვა ჯერაც არ დამცხრალა.

მენეჯერი დონ კინგი: არც მე და არც მიკ ტაისონი არ ვდავობთ, რომ დუგლასი ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ ისიც ხომ უდავო ფაქტია, რომ მსაჯის საათი არასწორად მუშაობდა და ისიც ძალზე ნელა უთვლიდა ნოკდაუნში მყოფ დუგლასს. მეორე მხრივ, რა დუგლასის ბრალია, ეს რომ ასე მოხდა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიკ ტაისონი: რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ჯერ თვით დუგლასი აღმოჩნდა ნოკაუტში (რომელიც ფიქსირებული არ იყო), ხოლო შემდეგ მე...

ახლა კრივის სამყაროს პირველ ყოვლისა ის აინტერესებს, ვის წინააღმდეგ დაიცავს ახალი მსოფლიო ჩემპიონი თავის წოდებას. პრეტენდენტი თითქოს სამია: მიკ ტაისონი, 42 წლის ჯორჯ ფორმენი და 1989 წლის მოწურულს №1 პრეტენდენტად ცნობილი, განთქმული მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდი. ამ დღეებში ვეტერანმა ფორმენმა განაცხადა, რომ ნებისმიერ დროს თანახმაა შეხვდეს დუგლასს, (რომელიც ტაისონთან მატჩის წინ მხოლოდ მეოთხე პრეტენდენტად ითვლებოდა). კრივის საერთაშორისო ორგანიზაციები დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდებიან ამ მატჩის იდეას, რადგან მიაჩნიათ, რომ ფორმენს მისი ასაკის გამო ძალზე გაუჭირდება ჩემპიონთან ბრძოლა.

ამ დღეებში გაიმართა „უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნის“ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც 9 ხმით, ერთის წინააღმდეგ გაოიტანა დადგენილება, რომ დუგლასმა თავისი წოდება ჯერ ევანდერ ჰოლიფილდთან უნდა დაიცვას. ეს მატჩი სექტემბერში უნდა მოეწყოს.

როგორც მენეჯერმა ბობ არუმმა ჟურნალისტებს განუცხადა, მან უკვე მიიღო პირველი წინადადება მსოფლიო ჩემპიონ დუგლასის მატჩის მოწყობის თაობაზე. ,ეერძოდ, სასტუმრო „მირაჟის“ მფლობელი ლას-ვეგასში სტიკ უაინი დუგლასს 25 მილიონს სთავაზობს, თუკი მისი მატჩი ამ ქალაქში მოეწყობა.

ჩოგბურთის ამბები

პილტონ-ჰედ-აილენდი. ამერიკის შეერთებული შტატების ამ ქალაქში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი. მესამე წუთში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა სპორტსმენები მოსკოველი ნატალია ზვერევა და თბილისელი ლეილა მესხი. გაიმარჯვა ზვერევამ (6:2, 6:1), რომელსაც მეოთხედფინალში მოუწევს თამაში ესპანელ ჯონჩიტა მარტინესთან.

კვლავ ყურადღების ცენტრშია 14 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ჯენიფერ კაპრიატი. მან 45 წუთში „გაანადგურა“ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი და საფრანგეთის შარშანდელ ღია ჩემპიონატში გამარჯვებული არანტა სანჩესი — 6:1. 6:1.

წყვილთა შეჯიბრებაში ნატალია ზვერევამ და არგენტინელმა მერსედეს პასმა ამერიკელთა დუეტს (პენი მაგერი, ტერი ფელპსი) აჯობეს — 6:4, 6.7, 6:2.

ლისაბონი. ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში უფელი ანდრეი ჩერკასოვი დამარცხდა ესპანელ ჰორდი არესთან ბრძოლაში — 2:6, 2:6.

ინფორმაცია

დამთავრდა ნხლ-ს ლიგის პროფესიონალ ჰოკეისტთა ჩემპიონატი, რომელიც დიდი უპირატესობით მოიგო „ბოსტონ ბრიუინზმა“. 80 მატჩში მან 101 ქულა დააგროვა. გამარჯვებულს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა ლიგის შარშანდელი ჩემპიონი „კალგარი ფლეიმზი“, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა „ბუფალო სეიბრიზი“ — 98 ქულა.

აღნიშნულ ჩემპიონატს მოჰყვა ლიგის მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ტურნირი — სტენლის თასის გათამაშება, რომელშიც 16 უძლიერესი კლუბი მონაწილეობს. შეჯიბრების სტარტი რამდენიმე სენსაციური შედეგით აღინიშნა. თასის ამჟამინდელი მფლობელი „კალგარი ფლეიმზი“ შინ ლოს-ანჯელეს „კინგზთან“ დამარცხდა — 3:5.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ამ თამაშებში მასპინძლებს ბედი არ სწყალობდათ, რაც ქვემოთ მოყვანილი ანგარიშებიდანაც ჩანს: „ედმონტონი“ — „ვინიპეგი“ — 5:7, „ჩიკაგო“ — „მინესოტა“ — 1:2, „ნიუ-ჯერსი“ — „ვაშინგტონი“ — 4:5, „ბოსტონი“ — „ჰართფორდი“ —3:4.

„პატარა დრაკონის“ ფენომენი

ადამიანებს სჩვეოდათ ყოფილი კერპების სწრაფად დავიწყება. აი, ბრიუს ლისადმი კი, რომელიც ჩვიდმეტი წლის წინათ გარდაიცვალა, დღემდე არ ნელდება ინტერესი.

მსახიობის სახელს მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლური ჭიდაობა კუნ-ფუს ხელოვნება და მისი თავისებური ფილოსოფია. ვიდეოტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენც მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ბრიუს ლის.

1940 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, სან-ფრანცისკოს ჩინური თეატრის საოპერო მსახიობების ოჯახში დაიბადა ბიჭი ლი ენ კამი. ცხადია, მშობლები ბიჭის სასცენო მომავალზე ფიქრობდნენ, მაგრამ, ოდნავადაც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ვაჟიშვილის სამსახიობო დიდება ასეთი მასშტაბისა იქნებოდა. ჩინურ ოპერაში გამოსვლა, რომლისკენაც ასე ისწრაფვოდა ლი ენ კამი, ვოკალურ მონაცემებთან ერთად ბრწყინვალე ფიზიკურ მომზადებასაც მოითხოვდა და ბიჭი აკრობატიკაში, ფარიკაობაში და კუნ-ფუში ვარჯიშს შეუდგა. იგი შეამჩნიეს და ექვსი წლისა კინოში გადაიღეს. დებიუტი წარმატებული გამოდგა — სურათმა „აკაკობრიობის დაბადება“ უდიდესი მოგება მოიტანა.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ოჯახი ჰონკონგში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ლი ერთ-ერთ „ჯგუფს“ თავკაცობდა. ბრიუსს უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, უშიშარი და მებრძოლი იყო.

მაგრამ, ქუჩის თავგადასავლები მალე მოსწყინდა და ცამეტი წლის ლიმ გადაწყვიტა სერიოზულად დაუფლებოდა კუნ-ფუს, შეეცნო მისი ფილოსოფიურობა. ჭაბუკის დამრიგებელი გახდა კუნ-ფუს ერთ-ერთი სკოლის სახელგანთქმული წარმომადგენელი იპ მენი. ფანატიკურად მოვარჯიშე ჭაბუკი ასწრებდა შეეთვისებინა კრივის, ძიუდოს, კარატეს, აიკიდოს, ჭიდაობის სხვა სახეობათა ხერხები. ლის ამგვარმა უნივერსალურმა მომზადებამ კვლავ მიიპყრო კინორეჟისორების ყურადღება: კოლეჯის დამთავრების წელს იგი მიიწვიეს მთავარი როლის შემსრულებლად ფილმში „ობოლი აკსამი“, რასაც კვლავ წარმატება მოჰყვა. თუმცა კინო მაინც არ გამხდარა ლისათვის პროფესია. მან ფილოსოფიის შესწავლა გადადაწყვიტა, რადგან ფიქრობდა, რომ მისი ღრმა ცოდნის გარეშე დიდად გაუჭირდებოდა ჭიდაობის ამ უძველესი სახეობის დაუფლება. იგი შტატებში დაბრუნდა და ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები. ოკეანის გაღმა დაბრუნება აღმოსავლური ბრძოლების აღმავლობის ხანას დაემთხვა. ლი კი ამ საქმის ნამდვილი პროფესორი გახლდათ. მოწაფეებიც გაუჩნდნენ, ძირითადად ჰოლივუდელი კინომსახიობები. 1964 წელს, ჩათვალა რა, რომ ფილოსოფიის საუფლებას საკმარისად დაეუფლა, დატოვა უნივერსიტეტი და დაიწყო შტატებსა და ქალაქებში მოგზაურობა, ყველგან ხსნიდა კუნ-ფუს კლასებს.

ტრადიციული, ძველი სკოლის კანონები ლისათვის ერთგვარად შემბოჭველი აღმოჩნდა. მან შექმნა საკუთარი სტილი „ჯეთ-კუნ-დო“, ანდა როგორც თვითონ ამბობდა — „სტილი სტილის გარეშე“. ლიმ მას ფილოსოფიური საფუძველიც გამოუძებნა. ადამიანში, ამბობდა იგი, არსებობს საბრძოლო ხელოვნების თვითგამოხატვის ინდივიდუალური ნიჭი და ამოცანად სწორედ ამ ინდივიდუუმის ამოხსნა გახლავთო. მეგობართან და თანამოგვარე ჯეიმს ლისთან ერთად მან ჯეთ-კუნ-დოსადმი მიძღვნილი წიგნის წერა დაიწყო, მაგრამ ამ დროს კინო ისევ შეიჭრა მის ცხოვრებაში. დაიწყო ლის ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს კინოს და ვიდეოეკრანებზე. მას „დაუმარცხებელი ჩინელი“ შეარქვეს. ჰქონდა მეორე სახელიც — „პატარა დრაკონი“, რომელიც აღმოსავლური მითოლოგიური დრაკონის თვისებების გამო შეარქვეს.

ბრიუს ლის სახელი განსაკუთრებით ამობრწყინდა ჰონკონგში ხელმეორედ დაბრუნების შემდეგ, სადაც მან ჯეთ-კუნ-დოს სკოლა გახსნა. ამასთან, წერდა სცენარებს, იყო რეჟისორი, თვითონვე იღებდა ცალკეულ ეპიზოდებს და, რასაკვირველია, თამაშობდა კიდეც.

ეკრანებზე ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდა „დრაკონის გზა“, „გაფთრებული მუშტები“ და სხვა, რომლებიც ქებას ასხამდნენ უკვე ისედაც პოპულარულ ბრიუს ლის.

იგი მხოლოდ 160 სანტიმეტრის სიმაღლისა იყო, მაგრამ ეკრანზე მსხვილი და ძლიერი ჩანდა.

ტრაგიკული ვითარება მოულოდნელად შეიქმნა. თუმცა, მანამდე, 1973 წელს გაისმა საგანგაშო ზარი: „დრაკონის „ენერგეტიკულ“ მუშაობისას ლის აპოლექსიკური დარტყმა დაემართაო. მაგრამ, მაშინ შესაძლებელი გახდა ფილმის დასრულება. ავადმყოფობის მიზეზად კი უკიდურესად ინტენსიური წვრთნა და გადამღლელი კონგადაღებები დაასახელეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ლის მორიგი შეტევა დაემართა. ჰონკონგის სამეფო ჰოსპიტალის ექიმები რამდენიმე საათს იბრძოდნენ მის გადასარჩენად. მაგრამ უშედეგოდ. ბრიუს ლი ინსულტმა იმსხვერპლა. „პატარა დრაკონმა“ უკანასკნელი გზა განვლო ჰონკონგიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე. იგი სიეტლში დაკრძალეს, ის დღე გლოვის დღედ გამოცხადდა. მასთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ ცნობილი რეჟისორები და მსახიობები, რომელთაგან ბევრი მის მოწაფედ თვლიდა თავს.

მისი სიკვდილის ირგვლივ კი უკვე ლეგენდები იქმნებოდა. ხმები და ჭორები გავრცელდა, თითქოსდა ტბეტელ ბერებს შური ეძიოთ ლის მიერ ფილმებში უძველესი შერკინების წმიდათაწმინდა საიდუმლოების გამხელისათვის. ლაპარაკობდნენ ავია, მოტო და ავტოკატასტროფებზეც.

1973 წელს ჰონკონგში ჩატარდა ბრიუს ლის სიკვდილის გამომწვევი მიზეზის გამომკვლევი სასამართლო პროცესი. შედეგი ბანალური აღმოჩნდა — მიზეზად ნარკოტიკები დაასახელეს. ამის შესახებ თქვა მისმა ქვრივმა ლინდა ლიმ. მანვე აღნიშნა, რომ ძლიერი გადაღლის გამო ბრიუსი ხშირად მომართავდა ხოლმე ექიმებს. ჩანს, იმათ არა, ვისთვისაც შეიძლებოდა ნდობა. მათი რჩევა უცნაური გახლდათ: მიეღო ნარკოტიკული თვისებების მქონე დამამშვიდებელი აბები, მოეწია მარხუანა. გამოირკვა, რომ სიკვდილის დღეს ოდნავ შეზარხოშებულმა ბრიუსმა დალია ასპირინი და რომელიღაცა ტრანკვილიზატორი. შენარევი სასიკვდილო აღმოჩნდა გადატანილი ავადმყოფობით დაუძლურებული სხეულისათვის.

ბედის ნებიერა ლის ღმერთმა ცხოვრების მხოლოდ ოცდაცამეტი წელი არგუნა...

მოამზადა ბელა ჯილაურმა.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-13 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.800.576 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (92) მოგება 948 მანეთია, ოთხისთვის (3. 506) — 23, სამისთვის (34.075) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 41.667 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—56, 3—701.

„სპორტლოტო 5 36“-დან. ტირაჟში დაშვებულია 19.300.313 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (28) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.341) — 156, სამისთვის (231.713) — 7.

საქართველოში: დაშვებულია 574.436 ვარიანტი. 5-3 (თბილისი, მარნეული, ბათუმი), 4—234, 3—6.833.

მე-13 და მე-4—მე-13 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 21 აპრილიდან 21 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ქარელის რაიონის ჭიდაობის ფედერაცია, სპორტკომიტეტი და შინაგან საქმეთა განყოფილება იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი
იური ევგენის ძე ჩიმჩიური
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივანი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „მერანი“ — 98-97-26, „ბარდა“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 60485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზ.ანის წიგნიდ დრიშის ორდენიანი სტამბა. 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14. ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე: ხიზანიშვილის, 20.

2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779